



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

არქიტექტურის ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა
არქიტექტურა და გარემო

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელი:

არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი ნოდარ ამაშუკელი

დამტკიცებულია თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭოს მიერ

2023 წლის 27 სექტემბერის სხდომის ოქმი №3

თსსა აკადემიურისა ბჭოს

2023 წლის 29 სექტემბერი სხდომის ოქმი №34

არქიტექტურის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა და გარემო“

ფართო სფერო (მიმართულება): 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა -
Engineering, Manufacturing, and Construction

ვიწროსფერო (დარგი/სპეციალობა): 073 არქიტექტურა და მშენებლობა Architecture and
Construction

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0731 არქიტექტურა და ქალაქგეგმარება -
Architecture and Town Planning

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0731 არქიტექტურის ბაკალავრი, Bachelor of Architecture

სწავლების ენა: ქართული

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

პროგრამის მოცულობა: 250 კრედიტი (ECTS)

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი, 8 სემესტრი

პროგრამის ხელმძღვანელი /ები: ნოდარ ამაშუკელი, არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი

საბაკალავრო პროგრამის მიზნები:

1. სტუდენტს გააცნოს და შეასწავლოს არქიტექტურის ინტერდისციპლინური დარგის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, სახვითი ხელოვნების პრინციპების გამოყენების მექანიზმი; გააცნოს თანამედროვე თეორიები, ეთიკისა და შრომის უსაფრთხოების პროფესიული ნორმები;
2. სტუდენტს გამოუმუშაოს არქიტექტურული პროექტის შექმნის, განვითარების, დასრულების, ეტაპების და დაპროექტების თეორიის თანამედროვე საკითხების ცოდნისა და კრიტიკულად გააზრების უნარი
3. სტუდენტს მისცეს ცოდნა პროექტის შექმნისთვის აუცილებელი კონსტრუქციული სისტემების, სამშენებლო მასალების, საინჟინრო ქსელების შესახებ; ასევე გამოუმუშაოს ალტერნატიული ენერჯის წყაროს მოძიების, და სხვა საინჟინრო საკითხების, შერჩევისა და დიფერენცირების უნარი;
4. სტუდენტს მისცეს ცოდნა ლანდშაფტური არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის, ტერიტორიული და ეროვნული დაგეგმარების საკითხების შესახებ, გამოუმუშაოს მომსახურების სისტემების, დარგობრივ-სამართლებრივი რეგულაციების, ტრანსპორტის,

ტექნიკური მომსახურების და უსაფრთხოების სისტემების გამოყენების აუცილებლობის გაცნობიერების უნარი.

- 5 სტუდენტს გააცნოს არქიტექტურულ გარემოში მემკვიდრეობითობასთან დაკავშირებული საკითხები, ისტორიული, სოციალური, გარემოს დაცვითი საკითხები, განუვითაროს იმ სოციალური კონტექსტის აღქმის უნარი, რომელშიც დაგეგმილია ამა თუ იმ არქიტექტურული პროექტის შექმნა
- 6 სტუდენტს მისცეს ცოდნა, ნატიფხელოვნებათა ძირითადი პრინციპების შესახებ, როგორც, არქიტექტურული პროექტის ხარისხზე ზეგავლენის მქონე ფაქტორი; ხოლო , სამგანზომილებიანი სივრცითი აზროვნებით, ეთიკის ნორმების, ნორმატიული აქტების გათვალისწინებით და შემოქმედებითი მიდგომით გამოუმუშაოს არქიტექტურული პროექტის შექმნის უნარი
- 7 სტუდენტს მისცეს რთულ და გაუთვლისწინებელ გარემოში ადგილობრივი და მსოფლიო კულტურული პრეცედენტების კვლევის, პრობლემის გამოვლენის და ანალიზის ცოდნა; წინასწარ განსაზღვრული მითითების საფუძველზე სტუდენტმა უნდა შეძლოს საპროექტო წინადადების შემუშავების, დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღება;
- 8 სტუდენტს გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარჩვევები რათა სტუდენტმა, რომელიც საპროექტო შენობის დაგეგმარებასთან დაკავშირებული, სამშენებლო კონსტრუქციების, უსაფრთხოების სისტემების და სხვა ტექნიკურ ამოცანათა გადაჭრის გზებს ფლობს, ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის წინასწარ განსაზღვრული მითითების საფუძველზე შესაბამისი ანალიზისა და სათანადო მეთოდის გამოყენებით შემოქმედებითი მიდგომით გადაწყვიტოს პრობლემა.
- 9 სტუდენტს გამოუმუშაოს, როგორც დამოუკიდებელი, ისე გუნდური მუშაობის უნარი და მისცეს ცოდნა ტრადიციული გრაფიკული და თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენებით, პროექტის გამოხაზვისა და წარდგენის როგორც არა სპეციალისტ ისევე სპეციალისტ საზოგადოებასთან ქათულ და უცხოურ ენაზე
- 10 სტუდენტს შეასწავლოს არაპროგნოზირებად გარემოში პასუხისმგებლობის აღება და ღირებულებათა სისტემის მისადაგებით არქიტექტურის გეგმარებით-სივრცითი გადაწყვეტა;
- 11 სტუდენტს მისცეს ცოდნა, რომ მან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გაიაზროს და დაგეგმოს, მომდევნოს პროფესიული განვითარების პერსპექტივა.

საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობები:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა);
- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ის პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური. ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე. (იხ. თსსა შემოქმედებითი ტურის დებულება [www. art.edu.ge](http://www.art.edu.ge))
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე (იხ. თსსა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი)

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა:

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა ---4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი, (სასწავლო წელი შედგება ორი სემესტრისაგან. წლის ხანგრძლივობა 42კვირა; სემესტრის ხანგრძლივობა— 21კვირა, აქედან 15 სააუდიტორიო კვირა, 3 სასესიო, 1 დამატებითი გამოცდის და 2 პრაქტიკის.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება

კვალიფიკაცია: არქიტექტურის ბაკალავრი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი “დიპლომის დანართი“.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 250 ECTS და მისი სტრუქტურა ამდაგვარია :

- საბაზისო საგანები - 18 ECTS

- სპეციალობის განმსაზღვრელი სავალდებულო საგნები 183ECTS
- საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები 37 ECTS
- არჩევითი საგნები 12ECTS

სპეციალობის სავალდებულო საგნები შემდეგ მიმართულებად იყოფა:

- სპეციალობის ს საგნები - 139 ECTS
- საინჟინრო სპეციალობის საგნები 44 ECTS

არჩევითი საგნებიდან სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს საგნები შემდეგი მიმართულებიდან :სულ 12ECTS

- შემოქმედებითი საგანთა ჯგუფი და რეწვა (სპეც ხატვა ფერწერა, კერამიკა,) სულ
- სპეციალობის განმსაზღვრელი თეორიული საგნები
- ზოგად საუნივერსიტეტო საგნებიდან